ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 12 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი - თებერვალი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ (იანვარი-თებერვალი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი-მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი-აპრილი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-ივნისი);
8. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ (აპრილი-ივლისი);
9. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ (ივლისი - სექტემბერი);
10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღების შესახებ (წლის განმავლობაში);
11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ (წლის განმავლობაში);
12. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ (წლის განმავლობაში);
13. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულების შესახებ (წლის განმავლობაში);
14. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ (ნოემბერი);
15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა 12 კომისიის სხდომა, ყველა სხდომა იყო რიგითი განხილულია 24 საკითხი, ინფორმაციის სახით განხილულია 5 საკითხი, მიღებულია 3 დადგენილება, 7 განკარგულება, 2 ბრძანება, და მოსმენილია 7 ანგარიში.